

სურათში: თბილისის „დინამოს“ კაპიტან ა. კილაძის ბურთი შეუვს თამაში. ფოტო მ. ზარგარიანისა.

★
კიევის სკიფი-სა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის ანგარიში იხ. მე-8 გვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლელო
Organ Komiteta po Fizicheskoj kul'ture i sportu pri Sovete Ministrov Gruzinskoj SSR i Gruzinskoj Respublikanskogo sojeta profsojuzov

№ 152 (1822) ○ კვირა, 21 დეკემბერი, 1959 წ. ○ გამომცემი მე-16 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

მდგომარეობა XIX ტურის შემდეგ

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
ლინკოლინი	1	1/2	0	1/2	1	1/2	0	1	1/2	1/2	1/2	0	1	1	1/2	1/2	1/2				
მთიანეთი	2	1/2	0	0	1/2	1/2	1/2	1	0	1/2	1/2	1/2	1	1/2	1/2	0	1/2	0			1
საბურთალოსი	3	1	1	1/2	0	0	1/2	1/2	1/2	1	0	1/2	1	0	1	0	1	0		1/2	1/2
ბორჯომისი	4	1/2	1	1/2	1/2	0	1	0	1	1	1	1/2	1/2	1	1/2	1	1	1/2		1/2	0
მთიანეთისი	5	0	1/2	1	1/2	1	1/2	1/2	1	1/2	1	1/2	0	0	0	0	0	1/2		0	0
საბურთალოსი	6	1/2	1/2	1	1	0	1	1	1/2	1	1/2	1/2	1	0	1/2	1	1/2	1/2		1/2	1/2
მთიანეთისი	7	1	1/2	1/2	0	1/2	0	1	0	0	1	0	0	1	0	1/2	1/2	0		1/2	1
საბურთალოსი	8	0	0	1/2	1	1/2	0	0	1	0	1	0	1	0	1/2	1/2	0	0		1/2	0
ლინკოლინი	9	1/2	1	1/2	0	1/2	1	0	1	1/2	1	1/2	1	1/2	1/2	0	0	1/2		1/2	0
მთიანეთისი	10	1/2	1/2	0	0	0	1	1	0	1	0	1	0	1/2	0	1/2	0	0		1/2	1/2
საბურთალოსი	11	1/2	1/2	1	0	1/2	0	1	1/2	1	1/2	1	1	1	0	0	1	1/2		1/2	1/2
ლინკოლინი	12	1/2	1/2	1/2	1/2	0	1/2	0	1	0	1	1/2	1	1/2	1	1/2	1	1/2		1/2	1
საბურთალოსი	13	1	0	1/2	1/2	1/2	1	1	1/2	1/2	1	1	1/2	1/2	1	1	1	1		1/2	1/2
მთიანეთისი	14	0	1/2	0	0	1	0	1	0	1/2	0	1	0	0	0	1/2	0	1		1/2	0
საბურთალოსი	15	0	1/2	1	1/2	1	1	1/2	1/2	1	0	0	0	1	1/2	1	0	1/2		1/2	0
ლინკოლინი	16	1/2	1	1	1	1	1	1/2	1/2	1	1/2	1/2	1	1/2	1/2	1/2	1/2	1		0	0
საბურთალოსი	17	1/2	1	1	1	1	1	1	1	1	0	1/2	1/2	0	1/2	1/2	1	0		0	1/2
მთიანეთისი	18	1/2	1	1	1	1	1	1	1	1	0	1/2	0	1	1	1/2	0	1		1/2	1
საბურთალოსი	19	1/2	1	1	1	1	1	1	1	1	0	1/2	0	1	1	0	1	0		0	1
ლინკოლინი	20	1/2	1	1	1	1	1	1	1	1	1/2	0	1/2	1	1	1	1	1		1/2	1
საბურთალოსი	21	0	1/2	1/2	1	1/2	0	0	1	1/2	1/2	0	1/2	1	0	1	1/2	0		0	0

შენიშვნა: წერტილებით აღნიშნულია გადაღებული პარტიები.

გუმის, 20 დეკემბერს ტურნირზე გათამაშდა XX ტური. დღეს, 21 დეკემბერს გადაღებული პარტიების დამთავრება. 22 დეკემბერს დასვენების დღე.

თბილისის „დინამოს“ ოკი ბაგარჯვა

მოსკოვი. (ჩვენი სტეც. კორ.). თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები მორიგ მატჩში შეხვედრენ ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდს. უკვე მე-2 წუთზე უხეშობისათვის წყლიდან გააძევეს თბილისელი მეგელი, რითაც კარგად ისარგებლეს მეზღვაურებმა და გახსნეს ანგარიში — 1:0. მალე დინამოელებს ჰქონდათ საბასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ნ. გვახარაას მიერ 4-მეტრიანი საჯარიმოდან ნატურალური ბურთი აიღო ლენინგრადელთა მექარემ. ტაიმის ბოლოს ი. ჩხიკვაძემ ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მოსკოვი. უბირატესობა, რომელმაც მოიგო მატჩი ანგარიშით 7:1. ბურთები გაიტანეს ნ. გვახარაამ (4), გ. ჩიქვანაიამ (2), ი. ჩხიკვაძემ (1). დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური ანგარიში ასეთია: „სრომითი რუბერები“ (მოსკოვი) — სკიფი (ლენინგრადი) — 7:5; ცსკ მო — „დინამო“ (ლენინგრადი) — 4:0; მოსკოვის ავტოპარხანა — სკიფი (კიევი) — 2:2; უნივერსიტეტი (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) — 4:2; „დინამო“ (მოსკოვი) — საზღვაოსნო სასწავლებელი (ლენინგრადი) — 2:1.

5. დოლიძე

ბათუმის უბირატესობის ცხრილი

მდგომარეობა	20	დეკემბრისათვის	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	16	15	1	0	70:30	31	
ცსკ მო	16	13	1	2	66:31	27	
„დინამო“ თბ.	16	13	0	3	60:35	26	
უნივერს. მ.	15	12	0	3	50:28	24	
კკფ ბაქო	16	8	2	6	57:42	18	
სკიფი ლ.	16	7	2	7	50:50	16	
ზილ მ.	16	4	4	8	47:40	12	
საზღ. სასწ. ლ	15	4	2	9	33:37	10	
სკიფი კიევი	16	4	2	10	39:49	10	
„შრ. რგვ.“ მ.	16	4	0	12	49:62	8	
„დინამო“ ლვ.	16	2	2	12	43:66	6	
„ბურ.“ თბ.	16	0	0	16	26:121	0	

ცხრილში შეტანილი არ არის მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის შეხვედრის შედეგი, რომელიც მეზღვაურებმა გააპორტესტეს. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება 22 დეკემბერს.

არსიელ სპორტსმენთა წარმატება

დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კალოსნოვში

ბორჯომი. (ჩვენი სტეც. კორ.). ქვესაშუალო წონაში დიდ მოულოდნელობას წარმოადგენდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის ფ. ბოგდანოვის დამარცხება ახალგაზრდა ყაზანელ სტუდენტ ა. კურილოვთან. ამ უკანასკნელმა სამკვიდროში აჩვენა 402,5 კგ, ხოლო ფ. ბოგდანოვის შედეგია 390 კგ. კალოსნოვში. ამ წონის კატეგორიაში წარმატებით გამოვიდა ქართველი სპორტსმენი ვ. რადიმაშვილი („განთიადი“), რომელმაც სამკვიდრო დააგროვა 370 კგ (115+110+145). საშუალო წონაში უძლიერესი იყო „ტრუდის“ წარმომადგენელი ფ. პლიუგვალდერი, რომლის შედეგია 430 კგ. გამარჯვებულს 10 კილოგრამით ჩამორჩა საბჭოთა არმიის წარმომადგენელი ვ. ლია-

ხი, ხოლო საქართველოს „კოლმეურნის“ ძალისანმა ი. ყუბანეიშვილმა აჩვენა 400 კგ (125+117,5+157,5). ქვემძიმე წონაში პირველი იყო დინამოელი ვ. სტეპანოვი 440 კგ. მძიმე წონაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ი. ვლასოვმა (საბჭოთა არმია) — 490 კგ. შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს არმიელმა სპორტსმენებმა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები. მხატვ წონაში რ. დათიკაშვილმა დაიკავა მე-5, ა. გრიგორიანმა (ქვემსუბუქი წონა) — მე-3, ვ. რადიმაშვილმა (ქვესაშუალო წონა) — მე-5 და ი. ყუბანეიშვილმა (საშუალო წონა) — მე-8 ადგილი.

სპორტსმენი. (ჩვენი სტეც. კორ.). XVIII ტურში იგნატიევა-გაფრინაშვილის პარტიაში გათამაშდა ძველი დღის დაცვა. პოლიციის განაწესების შემდეგ გაფრინაშვილმა მიიღო იგნატიევას მიერ შეთავაზებული ყაიმი. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ტოლონიძე-ბოკოვას და ბორისენკო-ჩაიკოვსკაიას პარტიები. ყაიმით აღინიშნა აგრეთვე ლიდერების ზატულოვსკაია-ზვორიკინას შეხვედრა. რუბცოვა დამარცხდა მალინოვასთან, ხოლო სტრანდსტრემი — იაკირთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო. აღსანიშნავია, რომ ტურნირში „დინამო“ გამარჯვებულმა მოიპოვა ნისენბოიმმა, რომელმაც მოინდარა ხარკოველი მოჭადრაკის, ოსტატობის კანდიდატის ვ. იდელიჩის გული და ამ „ცხარე ბრძოლების“ დღეებში ცოლად გაჰყვა მას.

გადაღებული პარტიების დამთავრებისას დიდი ინტერესი გამოიწვია ზვორიკინა-ტოლონიძის პარტიაში. როგორც ცნობილია, იგი გადაღებული იყო ზვორიკინას აშკარა უპირატესობით. მისი დამთავრების დროს ზვორიკინამ უხე-

რამდენიმე დღის წინ დამთავრდა თბილისის 1959 წლის ქალთა საჭადრაკო პირველობის ორი ნახევარფინალი. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში საუკეთესო შედეგს მიაღწია მ. ჩომბიძემ, რომელმაც 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს მ. ლოლიშვილმა და ლ. ჟეიაშვილმა (8 ქულით თითოეულს). მე-4 ადგილი, რომელიც აგრეთვე იძლევა ფინალში მონაწილეობის

სპორტსმენი, XX ჩემპიონატი

ში შეცდომა დაუშვა, წააგო კუ და პარტია. მეორე გადაღებული პარტია ტიხომიროვსთან მან ყაიმით დამთავრა. ბორისენკომ მოულოდნელად მოიპოვა ტიხომიროვამ — რუბცოვას, სტრანდსტრემმა — მალინოვას, ფილანოვსკაიამ — იაკირს, ვოლბერტმა — კაბაძეს. ყაიმით დამთავრდა ნისენბოიმ-ტიხომიროვას, იგნატიევა-კუშნირის, ბიკოვა-გურფინელის, რუბცოვა-ზატულოვსკაიას პარტიები. კაბაძემ შესანიშნავად ითამაშა გურფინელის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. გოიპენბერგმა დაამარცხა ტიხომიროვა.

დღეაქალაქის პირველობა უფლებას, დაიკავა ნ. ჯანგველაძემ (7,5 ქულა). მეორე ნახევარფინალში კარგად ითამაშა ს. ივანოვამ, რომელიც 8,5 ქულით პირველ ადგილზე. მას 1 ქულით ჩამორჩა თ. ყორჯოლაძე (7,5 ქულა), მე-3 ადგილი

XIX ტურში ძლიერად ითამაშა ყველა ლიდერმა. ვოლბერტმა დაამარცხა გურფინელი, გაფრინაშვილმა — ტოლონიძე, ზვორიკინამ — მალინოვა და ზატულოვსკაიამ — გოიპენბერგი. ამ დღეს წარმატებას მიაღწია ჩაიკოვსკაიამაც, რომელმაც მოულოდნელად ტიხომიროვას. კაბაძე-იგნატიევასა და ნისენბოიმ-იაკირის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ბიკოვას საყაიმო პოზიცია აქვს როტარესთან, ხოლო ფილანოვსკაია უგებს რუბცოვას, ბორისენკო — კუშნირს.

მსახთა კოლეგიაში გამოაცხადა, რომ მონაწილე, რომელიც 7 ქულას დააგროვებს, მომავალ წელს დაიშვება საკავშირო პირველობის ნახევარფინალში და რომ პირველ ექვს ადგილზე გასული მოჭადრაკე შეყვანილ იქნება საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

XIX ტურის შემდეგ წინ არიან ლ. ვოლბერტი — 13 ქულა, ნ. გაფრინაშვილი და კ. ზვორიკინა — 12,5 თვითულს, ტ. ზატულოვსკაია — 12 ქულა.

დასაკუთრა ვ. სეფიაშვილმა (7 ქულა), ხოლო მე-4 — ნახევარფინალის ყველაზე პატარა მონაწილემ 12 წლის ლ. გიორგობიანმა (6,5 ქულა). ნახევარფინალში გამარჯვებულს ფინალურ ტურნირში დაემატება თბილისის ყველა პირველთარისიანი. ფინალი გათამაშდება მომავალი წლის გაზაფხულზე.

სულ მალე სოხუმის სპორტის მოყვარულებს ექნებათ კეთილმოწყობილი საცურაო აუზი.



სოხუმის ჩვენი კომუნალური მოწყობის სტენდო, სადა ჩვენს მოსახლეობას შეეძლება დაინახოს სპორტის მოყვარულთა სურათები.

უგაღდეს სასწავლებლებში სამ ვარჯიში

ყოველწლიურად ტარდება რკინიგზის ტრანსპორტის უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობა ტყვიით სროლაში. ამ შეჯიბრებისათვის საშადაის ადრევე შეუდგნენ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სპორტსმენები და ძალის გამოსაცდელად თბილისში მოიწვიეს ხარკოვის ს. მ. კიროვის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდი.

ბ. ბარათოვი

ფაქულტეტის მორიგ

დამთავრდა ს. მ. კიროვის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველობა ჭიდაობაში. 21,5 ქულით პირველ ადგილზეა ენერგეტიკის ფაკულტეტის მოქალაქეთა კოლექტივი. მომდევნო ადგილებზე გამოიყვანა სამთო-გეოლოგიური და მექანიკა-მანქანათმშენებელი ფაკულტეტის კოლექტივები.

ბ. ზოზიაშვილი

ფიზკულტურის კომისია

ჩოგბურთში 1958 წლის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების წარმატებით ჩატარებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა ხაზით არსებულმა ფიზკულტურის კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სიგელებით დააჩილოვდა ჩოგბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯეები ვ. კანდელაკი, ა. გეგელაშვილი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯე ტ. ჩიშვინა.

გაგრძელდება. იხ. „ლელო“ № 151.

ლაივიკანოთ ქართული უახურობის დილა

როცა ვლადიკანოთ მასობრივ ფეხბურთზე და ძირეულ კოლექტივებზე, ეს არაა პლაკატური სიტყვები. ჩვენ გვინდა, რომ თამაშობდეს არა 1.000 ფეხბურთელი, არამედ 10 ათასი, გუნდები არსებობდეს არა 100 კოლექტივში, არამედ ათასში.

ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში შეიძლება სრული წლის განმავლობაში: ივლისშიც და იანვარშიც. ჩვენ კი ვთამაშობთ მხოლოდ ივლისში. და ისიც უხეიროდ.

განა არ შეიძლება თბილისის პირველობა მოეწყოს სწორედ ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით, როცა საკავშირო ღონისძიებებიდან ბაზებიც თავისუფალია, გუნდებიც და სპეციალისტებიც, რომლებიც ხშირად დაესწრებიან წვრთნასა და მატჩებს, შეარჩევენ ხალხს. მაგრამ პირველობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩატარდეს ისე, როგორც ახლა — შეკვეცილი და გაღატაკებული პროგრამით. თბილისის პირველობას აუცილებლად საკლებო პრინციპი უნდა ჰქონდეს (სულ ცოტა მოზრდილობა 2 და მოზარდთა თითო გუნდი). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა მოთამაშეს ჯერ კიდევ თავის კოლექტივში ექნება პროგრესისა და წინსვლის საშუალება და სტიმული.

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ მდგომარეობაზე უმაღლესი სასწავლებლებში. საერთაშორისო ახალგაზრდობა ფეხბურთი, თუ არა აქ, სადაც თავმოყრილია მათი უმეტესი და საუკეთესო ნაწილი? რატომღაც, რომ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები თითქმის აბსოლუტურ უმოქმედობას იჩენენ ფეხბურთის განვითარების დარგში. და ეს მით უფრო დასაზიანია, რომ თბილისელ სტუდენტებს წარსულში შესანიშნავი ტრადიციები გააჩნდათ, მათ რიგებში ყოველთვის იყვნენ პირველობის სოფრის ფეხბურთელები.

კაცმა რომ თქვას, პირველობის ხოვანი ფეხბურთელები ახლაც საკმაო რაოდენობით ირცელებიან სტუდენტთა შორის, მაგრამ მათი გამოჩენისთვის, ვინც ოსტატთა გუნდებში თამაშობს, ეს მასა ფაქტურად „მკვდარ სულებს“ წარმოადგენს ფეხბურთისათვის.

თა შორის ამ სახეობის მაქსიმალურად გაშლაზე. უნდა შევადგინოთ იმას, რომ ბავშვთათვის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოეცხონთ სათამაშო მოედნები, ხოლო ქალაქის გარეუბნებში შევქმნათ საფეხბურთო პუნქტები, სადაც ყოველთვის იქნება ბურთიც და ინსტრუქტორიც, სათამაშო მინდორიც და მოწინააღმდეგე გუნდიც. ბავშვი უნდა დარწმუნებული იყოს, რომ თუ ამხანაგებთან ერთად წავიდა ასეთ ბაზაზე, მას უშუალოდ მოუწევს თამაში.

ბრაზილებიც, რომლებმაც ასეთი ტრიუფით მოიგეს მსოფლიო პირველობა, სრულიადაც არ მალავენ თავიანთი წარმატების „საიდუმლოებას“: მათს ქვეყანაში უამრავი სათამაშო მინდორია, აურაცხელი ბავშვი თამაშობს ბურთს და რა გასაკვირია, რომ მათ ყოველთვის ყოვლბოთ პეღე, გარინა, მაცოლა და სხვანი.

ახლა რამდენიმე სიტყვა რესპუბლიკის რაიონების შესახებ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რა შესძინეს ქართულ ფეხბურთს ჩვენმა რაიონებმა. თბილისის „დინამოში“ მისი ჩამოყალიბების დღიდან თამაშობდნენ საუკეთესო ფეხბურთელები, რომლებმაც ფეხი აიდგეს ფოთის, სოხუმის, იზამჩირის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების მწვენი მინდორებზე. დღეს კი, პირიქით, რაიონები ეზღიდებიან თბილისიდან ასაკვადისულ ფეხბურთელებს და ამის გამო გზას უხშობენ თავიანთ ახალგაზრდა ტალანტებს.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს პერიფერიებში არ იყოს სათამაშო ადგილი. მინდორები არის და რამდენიც გნებავთ, მაგრამ...

მაგრამ აქ არავის ინტერესებს თამაშობენ თუ არა ჰაბუკები ფეხბურთს, როგორ თამაშობენ, რა კადრები იზრდება, რა პერსპექტივებია სახელით. მთელი საფეხბურთო საქმიანობა რაიონში მიმართულია იქით, რომ მოზრდილობა გუნდმა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში რაიმე საშუალებით ჩაიწეროს ქულა. სხვა ყველაფერი აქ დაიწყება მთავარი. ამიტომაც, რომ რაიონები უკვე კარგა ხანია კრიზისის განიცდიან ახალგაზრდა პერსპექტულ ფეხბურთელთა მხრივ და ოსტატთა გუნდებსაც დააკლდათ შევსება ამ რეზერვუარიდან. სწორედ ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების უმოქმედობისა და საქმისადმი არასწორი მიდგომის გამო რჩება კონტროლისა და ყურადღების გარეშე ახალგაზრდობა, სადაც, ვინ იცის, რამდენი ახალი ბაიკაე, დოლობერძე, ჭეჭელა ან ტყებუჩავა იყარება ტუფილ-უბრალოდ.

ვინ შეიძლება ამ მხრივ შეედაროს სოხუმელ მწვრთნელს ს. ესაკიას, რომელიც წლების მანძილზე დაუღალავად მუშაობს ბავშვებს შორის? ხომ შეძლეს ლ. ნარინანძემ

და ბ. ჩიტაიამ ლანჩხუთის გუნდებში აღეზარდათ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებზეც ჩვენ დღეს დიდ იმედებს ვამყარებთ?

ავიღოთ მაგალითად თბილისის სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლა, რომელიც ხალხში 35-ე სკოლის სახელითაა ცნობილი. თითქოს, აქ იდეალური პირობები უნდა იყოს შექმნილი ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდისათვის, მაგრამ აბა ჰკითხეთ სკოლის მწვრთნელებს, რამდენი რამ უშლის მათ ხელს მუშაობაში?

ჯერ ერთი სათამაშო მინდორი. აქ ფეხბურთელთა გარდა ვარჯიშობენ მძლეოსნები, რომლებიც თავიანთი სპეციალიზაციის ძალით იძულებული არიან მოედანი გამოეყენონ უროს, ბადროსა და შუბის სატყორცნად, ბირთვის საკვრელად. ამის შედეგად გრუნტი ყოველდღე უსარგებლოა ნორმალური წვრთნისათვის ფეხბურთში.

შემდეგ. ბავშვები წვრთნას გადიან კვირაში 3-ჯერ 2 საათის ხანგრძლივობით. ეს ცოტაა, ძალზე ცოტა. აქ ისე უნდა იყოს საქმე დაყენებული, რომ ნორჩ ფეხბურთელს ყოველთვის ჰქონდეს საშუალება თავისუფლად დროს მივიდეს და დამოუკიდებლად ივარჯიშოს, მაგრამ ბაზა ყოველთვის გადატვირთულია. ერთი სიტყვით, ფეხბურთელები მძლეოსნებს უშლიან, მძლეოსნები კი ფეხბურთელებს.

დაბოლოს. მოთამაშეთა მზადება აქ წარმოებს გარკვეულ ასაკამდე, რის შემდეგ ისინი იფანტებიან, ისე რომ ფაქტურად მხოლოდ საფეხბურთო ანბანი აქვთ ნასწავლი. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სკოლასთან შეიქმნას დამატებითი წვრთნის სადაც ფეხბურთელები წვრთნას განაგრძობენ 18 წლის ასაკამდე. ასეთი ღონისძიება დიდ სარგებელს მოიტანდა.

დიდ ეფექტს მოგვცემს, თუ „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა გუნდებთან შევქმნით ჰაბუკთა რეგულარულ კოლექტივებს. გამოცდილი ოსტატებისა და ახალგაზრდების ახლო კონტაქტი, ხშირი ერთობლივი წვრთნა ტექნიკის ამაღლებაზე ხელს შეუწყობს მომავალი თაობის სისტემატურ აღზრდას. ახალგაზრდა ფეხბურთელი იქნება არა მარტო მწვრთნელის, არამედ ოსტატთა მთელი კოლექტივის მზრუნველობისა და ზედამხედველობის ქვეშ.

ყოველი მწვრთნელის მოვალეობაა საგანგებო გულისხმიერებით მოეპყროს ბავშვთა ტექნიკურ მომზადებას, ხელი შეუწყოს მათში ინდივიდუალური მონაცემების, სპეციფიკურ თვისებათა სრულყოფას, რომ ბავშვმა კი არ დაკარგოს თავისი ორიგინალობა, არამედ კიდევ უფრო განიმტკიცოს იგი. შაბლონი და ტრაფარეტი, რომელსაც ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს მოკიდებული ფეხი მწვრთნელთა საქმიანობაში, ერთსულ და სამუდამოდ უნდა იქნას აღმოფხვრილი.

უამისოდ შეუძლებელია ფიქრი დიდი ფეხბურთის რეზერვების აღზრდაზე.

ნ. ჩხატარაშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯე. ბ. ჭოჩიაძე. (გაგრძელდება იქნება)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახებ

შრომის ფარსულში

ბრიგადა, რომელსაც მერაბ შულენტი შეთაურებს სულ 7 კომკავშირელისაგან შედგება, მაგრამ ამ კოლექტივმა უკვე საერთო აღიარება დაიმსახურა, როგორც საუკეთესო მაულ-კამეოლის კომბინატში.

მოსკოველ კომკავშირელთა ინიციატივით გაჩაღებულ დიდ მოძრაობას — კომუნისტურ შეჯიბრებას, კომბინატის პირველი სწორედ მერაბ შულენტის ბრიგადის წევრები გამოეხმარნენ. მათ სპეციალური შეჯიბრება მიუძღვნეს ახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა და მოსკოველი ახალგაზრდების სახსელეო წამოწყების გაცნობას, დასახეს ამოცანები და იმდღიდანვე შეუდგნენ მათ განხორციელებას. თუ წინათ ბრიგადა ყოველთვიურ გეგმას 119 პროცენტით ასრულებდა, დღეს მისი წევრები საწარმოო გეგმებს 120-125 პროცენტით ანაღდებენ და მთელი ეს პროდუქცია პირველობისთვისაა.

ასეთია ამ ბრიგადის ყველა წევრი საწარმოში, მაგრამ სურათი მთლიანი არ იქნება, თუ მათზე არაფერს ვიტყვით წარმოების გარეშე; ისინი კი ამ მხრივ მართლაც რომ საუკეთესო არიან. აი თუნდაც ბრიგადის რიგითი მქსოველი ფლორა სოხაი. მან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში განაგრძო, მქსოველის რთული პროფესია აითვისა და მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოში სულ მცირე ხნის მოსულია, მისი სურათი უკვე კომბინატის წარჩინებულ მუშაკთა საპატიო დაფაზეა გამოკრული. ფლორა არც სპორტშია ჩამორჩენილი და ასევე წარმატებით იცავს თავისი სამუშაოს ღირსებას ფრენბურთის ბადესთან. მას არც მისი მეგობრები ჩამორჩებიან. მახარობლიშვილი და გ. პროშალიანა მაგდის ჩოგბურთით არიან გატაცებულნი, ხოლო ლ. გმცევა კალათბურთელთა გუნდის წევრია.

კოლექტივის სული და გული შინც ბრიგადირი მ. შულენტი. მან ჯერ კიდევ სკოლაში უოფნისაგან ნიშნა წარმოებაში. მუშაობა და განზრახვა მალე სინამდვილედ აქცია. იგი დაუხრებლად სწავლასა და შრომას კარგად ათავსებს ერთმანეთთან და წარმატებით ამთავრებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფიქრო ფაკულტეტს. ამასთან იგი სპორტის ენთუზიასტიცაა და ყოველმხრივ ხელს უწყობს სპორტის დაწერვას ბრიგადის წევრთა შორის.

ბ. სამსონაძე

მატჩს მთლიანი საბრძოლო შე- მადგენლობით შეხვდნენ. კიეველ- თა მწვრთნელმა თამაშის დაწყე- ბამდე მიიღო სწორი გადაწყვე- ტილება — მოედანზე გამოიყვანა შემადგენლობა, რომელმაც წარმა- ტებას მიაღწია პირველ ორ შეხვე- დრაში. კარგად შეთამაშებულმა ხუ- თელმა ენერგიულად დაიწყო თა- მაში და პირველსავე წუთებზე წარმატებას მიაღწია. ის, რომ მე- საზე წუთიდან მოყოლებული ინი- ციატივა თბილისელთა მხარეს გა- დავიდა, პირველ რიგში მასპინ- ძღების ზუსტი თამაშის შედეგი უფრო იყო, ვიდრე სტუმრების დაბნეულობისა.

სტუმრების გუნდის მწვრთნელ- მა ვ. შაბლინსკიმ არც ამ შეხვედრა- ში უღალატა მოთამაშეთა ხშირი შეცვლის ტაქტიკას. მან ორმოცი წუთის მანძილზე 16-ჯერ შეცვალა შემადგენლობა — თბილისელებმა კი მხოლოდ 4-ჯერ. იყო თუ არა გამართლებული სტუმრების ტაქ- ტიკა? ჩვენი აზრით არა. თუ იგი თამაშში ახალი, დასვენებული ძა- ლების შემოყვანას გულისხმობდა, უნდა ითქვას, რომ კიევის გუნდი ოდნავადაც არ გამოიყურებოდა თა- მაშის ბოლოს „დინამოზე“ უფრო მსუბუქად, დასვენებულად. მოთა- მამეთა ხშირი შეცვლა თუ თბი- ლისელთა ტაქტიკური დაბნეულო- ბისაკენ იყო გამიზნული ვიტყ- ვით, რომ ვერც მან მიაღწია მი- ზანს. ხშირმა შეცვლამ უკრაინე- ლთა შორის უფრო მეტი არცედა- რევა შეიტანა, ვიდრე მოწინააღ- დეგის რიგებში.

არამც და არამც არ იყო გამარ- თლებული კიეველთა უკანასკნელი შეცვლა. იგი უფრო სასოწარკვე- თის უნებური იყო, ვიდრე ტაქტიკური ვარიანტი. ალბათ მიხვდებით, რომ ლაპარაკი გვაქვს მაღალი ტანის გლეჯერზე. ამ მოთამაშეს მართა-

ლია, აქვს ხახარბიელი სიმაღლე (2 მ 17 სმ), მაგრამ სამწუხაროდ მეტი არაფერი. მთელი თამაშის განმავლობაში გლეჯერს არც ერთ- ხელ არ მიუღია ბურთი, იგი არც ერთხელ დამუქრებია მოწინააღმდე- გის კალათს. გლეჯერის მთელი „საქმიანობა“ გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ მან ზედღეოდ მიიღო სამი პერსონალური შენიშვნა. რო- გორც ხედავთ, მისი მისია მოედან- ზე ოდნავაც არ იყო გამართლე- ბული.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ა“ კლასის დებიუტანტმა კიევის სკიფ- მა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდი უდავოდ ძლიერია, მოძრავი, ტემპიანი. მოთამაშეები ბევრს ეს- ვრიან საშუალო და გრძელ დის- ტანციიდან. ამ მხრივ უკრაინელი კალათბურთელები აღემატებოდნენ კიდეც თბილისელებს. სკიფმა მთე- ლი თამაშის მანძილზე 30-ჯერ ის- როლა კალათში შორიდან. 14-ჯერ სროლა შედეგაანი გამოდგა, ხო- ლო 16-ჯერ — უშედეგო. დინამო- ელები უფრო ფრონილად მოქმე- დებდნენ. ისინი უმეტეს შემთხვე- ვაში კალათის აღებას ახლო პოზი- ციებიდან ცდილობდნენ. თბილისე- ლებმა 16 სროლა განახორციელეს შორი დისტანციიდან და 9-ჯერ მოახვედრეს მიზანს. მაგრამ აქ სა- ინტერესოა სხვა მომენტი. დინამო- ელთა შორის დისტანციიდან უმ- თავრესად სამი კალათბურთელი ისროდა — კილაძე, ალტაბაძე და უგრებელიძე. იმ დროს, როდესაც უკრაინელთა გუნდში ამ ფუნ- კციას 8 მოთამაშე ასრულებდა.

შორი მანძილიდან სროლა გუნ- დის მთავარი იარაღია მაშინაც, როდესაც მოწინააღმდეგე ზონურ დაცვას ირჩევს. დინამოელთა შორის ამას წარმატებით ახორციელებდა


მხოლოდ კილაძე. კი ვ. კონონენკო, სტრემოუხოვი, ა. ვისტაყინი.

გამარჯვებულმა გუნდმა — თბი- ლისის „დინამომ“ შეხვედრა ვერ ჩაატარა თანაბრად. პირველი ნახევრის 10 წუთს იგი თითქმის შე- უცდომლად მოქმედებდა. მეორე ათი წუთი მან შედარებით სუსტად ჩაატარა, 11-წუთიანი განსხვავება ანგარიშში, 2 ქულამდე დაიყვანა. მეორე ნახევრის დასაწყისში ალტა- ბაძევი ნერვიულობდა, დაკარგა რამ- დენომე გადაცემა. საერთოდ, ალტა- ბაძევი მთელი გულით და მონო- მებით თამაშობს ხოლმე, მაგრამ ხანდისხან მონდომება ნერვიუ- ლობაში გადადის. ასეთ დროს მას ესპირიტუა დახმარება, დროებით დასვენება.

როგორც ყოველთვის, დინამო- ელთა შორის კარგად თამაშობდნენ კილაძე და ინწორველი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრ- და უგრებელიძემაც. სწრაფი, მოუ- ლოდნული გადაცემებით მას ხში- რად თავისუფლად გაჰყავდა პარტ- ნორი მოწინააღმდეგის ფარქვეშ გააზრებულად მოქმედებდა იგი დაცვაშიც.

შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისის „დინამომ“ მოიგო ორი ქულით — 39:37. მეორე ნახევარ- ში თბილისელებმა ბოლოსდაბო- ლმ გასტუმრეს სტუმრების წინაა- ლმდეგობა, გაიმარჯვეს ანგარიშით 72:63 და გათამაშების ცხრილში ჩაიწერეს მესამე ქულა. ამ დღეს უკრაინელთა შორის ყველაზე შე- დეგაანი თავდასხმელები იყვნენ ბაგლეი (21 ქულა) და კონონენკო (14 ქულა). თბილისელთა შორის გუნდს ქულათა ყველაზე მეტი რა- იონებობა მოუტანეს კილაძემ (19) და ხაზარაძემ (17).

ნ. გუგუშვილი



უძე იერგისი გუნდების საკავშირო შეჯიბრება

ს უ რ ა თ ზ ე: სკიფის (კიევი) და „დინამოს“ (თბილისი) შეხვედრის მო- მენტები. ფოტო მ. ზარგარაინისა.

აკინიგზაღთა ჩამკიონაგი

17 დეკემბერს თბილისში დამ- თავრდა ამიერკავკასიის აკინიგზის კალათბურთელთა გუნდების ტურ- ნირი. წინასწარ შეჯიბრებებში მო- ნაწილე 10 გუნდიდან საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ თბილისის რაისაბჰოსა და ლენინაყანის კვან- ძის კალათბურთელებს. ფინალურ შეხვედრამდე ორივე გუნდი დაუ- მარცხებლად მოვიდა.

გადაწყვეტილი მატჩი დაიწყო სა- ქართველოს სპორტსმენთა უპირა- ტესობით და სულ მალე ა. მიქაბე- რიძის ზუსტი სროლებით თბილი- სელებმა წაიყვანეს ანგარიში — 3:0. მე-10 წუთისათვის ანგარიში- ში განსხვავება საგრძობლად გაი- ზარდა, მაგრამ მისი შენარჩუნება თბილისელებმა ვერ შეძლეს, თუმ- ცა პირველი ნახევარი მათ მიიწე- მოიგეს 8 ქულით — 37:29.

მეორე ნახევარში ინიციატივა კვლავ მასპინძელთა მხარეს იყო, რომლებსაც რეზერვში 15 ქულა ჰქონდათ. მაგრამ როგორც ჩანს მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს და დაიწყეს არაზუსტი თა- მაში (განსაკუთრებით თ. ლეკა- ვაძე). სტუმრებმა ორ წუთში ექვს ქულამდე დაიყვანეს ანგარიში განსხვავება. მაგრამ ეს იყო მათი დროებითი წარმატება მასპინძლე- მა კვლავ ხელს იგდეს ინიციატივა და გამარჯვებს 78:64. თბილი- სელთა გუნდში ყველაზე შედეგაი- ნი იყო ი. ლეკაძე (29) და ნ. მაი- სურაძე (21).

მესამე საპრიზო ადგილი დაიკა- ვეს სამტრედიის სპორტსმენებმა, რომლებმაც დაამარცხეს ერევნის რაისაბჰოს კალათბურთელები — 69:55.

ლ. თაუზივილი

დ ი ნ ჯ ა დ,

ამიერკავკასიის მომე რესპუბ- ლიკათა მსროლელების სამატჩო შეხვედრის მეორე დღეს კ. ფო- ტიევის მიერ დამყარებული ახა- ლი რესპუბლიკური რეკორდი — 584 ქულა უკანასკნელი არ ყო- ფილა ამ შეჯიბრებაზე. მესამე დღეს, ნებისმიერი მცირეკალობ- რიანი შაშხანიდან სროლაში 50 მეტრზე (სტანდარტი 3X40) მოსა- ლოდნელი იყო ახალი რეკორდი, ვინაიდან შეჯიბრების მონაწი- ლე, მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუთა შორის შ. ქველაშვილი (საქარ- თველო) ამჟამად კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

მართალია, წოლელა სროლაში თანაგუნდელ ვ. კრანსოპოლსკისა და ი. დედოსევიცის (აზერბაიჯანი) შემდეგ შ. ქველაშვილი 383 ქუ- ლით, მხოლოდ მესამე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ვარჯიშებში იგი მთელწოდმელი აღმოჩნდა ყველა კონკურენტისა- თვის.

როცა დაიწყო შეჯიბრება ჩო- ქელა სროლაში, მხოლოდ ქველა- შვილის ტყვიები არ სილდებო- და კარგა ხანს ათთანს, მაგრამ შემდეგ თანდათან აჩინა თავი დადლილობამ და რამდენიმე ტყვია აცდა ცენტრს, თუმცა სპორტსმენი იმდენად წინ იყო წასული, რომ ამ ვარჯიშში პირ- ველ ადგილს ველარაფინ შეეცი- ელებოდა. ახლა დღის წესრიგში იდგა იგრიშ. რეესპუბლიკურ რე- კორდზე, რომელიც მასვე ეკუთვნე- ნოდა (381 ქულა). მსროლელს დრო საკმაოზე მეტი ჰქონდა, ამი- ტომ მან მუხლი და თვალი შეას- ვენა და როცა უკანასკნელი ტყვი- ეთი კვლავ მჭიდროდ ჩაჯდნენ თანში, მან მისი მიღწეული იყო. შ. ქველაშვილმა მოაგროვა 384



ს უ რ ა თ ზ ე: სკიფის (კიევი) და „დინამოს“ (თბილისი) შეხვედრის მო- მენტები. ფოტო მ. ზარგარაინისა.

ქულა, რაც ახალი რესპუბლიკე- რი რეკორდია. გამარჯვებულს 10 ქულით ჩამორჩა აზერბაიჯა- ნელი ბ. უსანოვი. დადგა სტანდარტის უკანასკნე- ლი ვარჯიში — დგომელა სრო- ლა. საქართველოს რეკორდების ცხრილის ამ სვეტში ეწერა: „გ- ბეთაშვილი. 351 ქულა“. ახლა კარ- გად ესტონდნენ სომხეთის გუნდის წევრი რ. მერტიჩიანი, ა. იგნა- ტიევი აზერბაიჯანიდან, საქარ- ველოს გუნდის წარმომადგენლები რ. ანაიოიანი და შ. ქველაშვილი. ისინი ქულით ქულაზე მისდევ- ნენ ერთმანეთს და ყოველი გას- როლის შემდეგ ხან ერთი გავი- დოდა წინ მინიმალური უპირა- ტესობით, ხან მეორე. როცა ტყვიების ნახევარი დაიხარჯა და დაიწყო ვარჯიშის გადაწყვეტი პერიოდი, დაბაბულ ბრძოლაში მხოლოდ ქველაშვილს გაუძლო ნერვებმა.

.. შეჯიბრება დამთავრდა, მსა- ჯთა კოლეგიამ დაიბეჯა შედე- გები ქველაშვილს 358 ქულა აღ- მოაჩნდა, რაც 7 ქულით აღემა- ტება ძველ რესპუბლიკურ რე-

ა უ ლ ე ლ ვ ე ბ ლ ა დ

ლი დარჩა, ვინაიდან შ. გუჯარე- ლიძეს, ა. სპივაკოვსა (აზერბაიჯა- ნი) და მ. ოვსეპიანს ქულათა თა- ნაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ — 584. უძლიერესი გამოსავლი- ნებლად სპირო გახდა დამატე- ბით სროლის მოწყობა სილუე- ტებზე. აქ გამარჯვებული გამო- ვიდა ა. სპივაკოვი. მეორე ადგი- ლი წილად ხვდა შ. გუჯარელი- ძეს.

ამ დღეს მოეწყო ერთჯერადი გასროლები „გაქცეულ ირემზე“. აქ სპორტსმენს 20 ტყვია ეძლევა, უმაღლესი შედეგებია კი „5“ ქუ- ლას არ სცილებდა. შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა მ. მიტინიანი (საქართველო), რომელმაც 90 ქუ- ლა მოაგროვა. სამატჩო შეხვედ- რის უკანასკნელ დღეს კი, როცა „გაქცეულ ირემზე“ სპორტსმენე- ბი ორჯერად გასროლებს აწარ- მოებდნენ, მიტინიანი კვლავ მო- წოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან მოიპოვა პირველი ადგილი და პირველად შეასრულა სპორ- ტის ოსტატის ნორმა.

ამრიგად, სამატჩო შეხვედრაში 13 ქულით საერთო პირველ ად- გილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი.

ო. ბელაშვილი

ს უ რ ა თ ზ ე: ვარჯიშის დამთავრე- ბის შემდეგ შ. ქველაშვილს (მარ- ჭვინი) იარაღის გაწმენდაში ეხმა- რება ე. მიტინიანი.



საქართველო თუ აკადემიკოსები?



ს. ლემი

ფანტასტიკური მოთხრობა



ჯონსი — ეს მე არ ვარ, ეს ჩემი „გენიალიზა“. ის ყოველთვის ასე იქცევა, როდესაც დაბნულად ვფიქრობ, მე არ ვარ დამნაშავე. უმადლესი სასამართლო ასეთ შემთხვევაში ვალდებულია პასუხისგებაში მისცეს ფირმის თავმჯდომარე დონევენი, უხარისხო საქონლის გამოშვებასათვის.

დამცველი — ასეთ შემთხვევაში ფირმა თხოულობს იცნოს მასზე მთელი ძალაუფლება, როგორც საკუთრებაზე, რომელიც წარმოადგენს პროტეზების კრებულს და თავს პარი ჯონსად ასაღებს.

ჯონსი — რა თავხედობაა. აბა სად არის ჯონსი თუ არა აქ? როგორ გგონიათ თქვენს?

დამცველი — აქ, სასამართლო დარბაზში არ არის არავითარი ჯონსი, რადგანაც ამ ცნობილი ჩემპიონის სხეულის ნაწილები მოფანტულია ამერიკის სხვადასხვა ავტოსტრადებებზე. ესე იგი, ჩვენ თუ საქმეს მოვიგებთ, ამით რომელიმე პიროვნება არ დაზარალდება. ფირმას გადაეცემა ყველაფერი ის, რაც მას კანონიერად მქონეა.

ჯონსი — ესლა მკაცრა. ამით სურთ დამშალონ ცალკეულ ნაწილებად, ცალკეულ პროტეზებად! თავმჯდომარე დონევენი — თქვენი საქმე არ არის თუ რას ვუზამთ პირად საკუთრებას.

მოსამართლე — ბატონო თავმჯდომარე, თუ შეიძლება ნუ შევაწყვეტინებთ მოპასუხეს! გმადლობთ, ბატონო იურისკონსულთო. აბა, რას თქმა გსურთ, მისტერ ჯონს?

დამცველი — მე მინდოდა ერთი არსებითი შენგნა გამეკეთებინა: მოპასუხე ფაქტურად არ წარმოადგენს მოპასუხეს, იგი არის უსულო საგანი, რომელიც ამტკიცებს, რომ მე — ეს ვარ მეო თუმცა, სინამდვილეში იგი...

ჯონსი — პატივცემულო სასამართლო და თქვენც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენო, რომლებიც მოწმენი ხართ...

დასასრული. იხ. „ლელო“ № 151.

მოსამართლე — მე გთხოვთ მითითებულ მხარეებს დასამართლოს. თქვენ მიტინგზე არა ხართ.

ჯონსი — მართალია. საქმე შემდგომი იყო: მე მართლაც შევიძინე „სეიბერნეტის კომპანიისაგან“ რამდენიმე პროტეზი...

თავმჯდომარე — რამდენიმე პროტეზიო! კი! ეს მომწონს!

ჯონსი — სასამართლოს ვთხოვ წესრიგისაკენ მოუწოდოს ამ მოქალაქეს. ასე და ამრიგად, მე ვიყო დე ეს პროტეზები. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რა ხარისხის არიან ისინი. არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რომ მისინაგ, მღვიძეს, ვწმე ვარ თუ დავდივარ, თავი ისე საშინლად ხმურობს, რომ იძულებული ვარ ღამე გაეთიო მეორე ოთახში, რათა ჩემს ძმას ნორმალური ძილის საშუალება მიეცე. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამ ნაქებ „გენიალიზისაგან“, რომელიც უფარგის სათვალელი მანქანებისაგან არის გადაკეთებული, ამეკვივრება ანგარიშების მანია, განუწყვეტილი ვითვლი ყველაფერს: ღობეებს, გამწვლეებს, კატებს და ეშმაკს იცის კიდევ რას. ყველაფერი ამის მიუხედავად, მე მაინც მჭონდა განზრახული ვალების გადახდა. ფულის მიღება კი შემეძლო, თუ მოვიგებდი შეჯიბრებას. მე კი ტულ სპორტულ ფორმაში ვყავი, იმედი გამიცრუდა, თავი დავკარგე და...

დამცველი — მოპასუხე თვითონ აღიარებს, რომ დაპყარვა თავი! გთხოვთ სასამართლომ მაქციოს ყურადღება ამ გარემოებას!

ჯონსი — გთხოვთ ნუ მაწყვეტინებთ! სხვა გაგებით ვთქვი... დავკარგე თავი და დავიწყე ბირვზე თამაში, წავაგე ყველაფერი და იძულებული ვიყავი მესესხა ფული. ყველაფერი ამასთან ერთად, მე თავს საშინლად ვგრძობობ, მარცხენა ფეხში რაღაც მჩხვლეტდა, თვალებიდან ნაგერწყლები მცვიოდა, მესისხმებოდა რაღაც სულელური სიზმრები, საყერავი, ტრიკოტაჟის და წინდების მანქანების შესახებ. გმეურნალობდი პსიქოანალიტიკებთან სწორედ მაშინ, როდესაც მთლიანად დავსუსტდი, ფირმამ დამიწყო სასამართლოში ჩვილი. ამის შესახებ წერდნენ გაზეთები. სასამართლომ უარყო ფირმის მოთხოვნები, მაშინ მე მომხარა ერთმა ბნელმა პიროვნებამ, ვინმე გოაპმა, რომელიც მომიგზავნა ფირმის თავმჯდომარემ. მაგრამ ამის შესახებ მაშინ არაფერი ვიცოდი. ეს გოაპი გამოცხადდა და მითხრა, რომ არის ელექტრომონტიორი და რომ ყველა ჩემი „გამოჯანმრთლებლის“ ერთადერთი საშუალებაა, დასტური მიმეცა მისთვის, რომ მოეხდინა

ჩემი მთლიანი „გენიალიზირება“. რაღა უნდა მექნა? მივეცი მას თანხმობა და გოაპმა მეორე დღესვე წამიყვანა „სეიბერნეტის“ ფირმის სამონტაჟო განყოფილებაში.

მოსამართლე — ესე იგი, თქვენ ამოგიღეს ტენი?

ჯონსი — კი, რა თქმა უნდა! მოსამართლე — და მის ნაცვლად დავიყენეს?!..

ჯონსი — ბატონო მოსამართლე, მათ უნდოდათ მოეშორებინათ დარჩენილი ტენი. ასეც მოხდა. ისარგებლეს რა ჩემი მიამიტობით და გონებრივი მოქმედების დაკემით, რომელიც უხედური შემთხვევებით იყო გამოწვეული, მომიგზავნეს ვიღაც გოაპი, რათა მე თვითონ დავთანხმებულიყავი ძველი ნაწილის გამოთიშვაზე. ასე და ამრიგად, მე გავხდი მათი ბორტი ჩანაფიქრის მსხვერპლი. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ აქვთ რაღაც უფლებები ჩემზე. მაგრამ საიდან? ვთქვით ვიღაცა სესხით ყიდულობს მედუნისაგან ფეილს, შაქარს, ხორცს და სხვა პროდუქტებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მედუნე მიღის სასამართლოში და ჩივის, რომ მას გადასცენ როგორც პირადი საკუთრება მყიდველ-მომცემს, რადგანაც მისი სხეული თავიდან ფეხებამდე შეიცავს იმ პროდუქტებს, რაც მის მედუნემ მიყიდა. განა მსოფლიოში არსებობს ისეთი სასამართლო, რომელიც მედუნის მოთხოვნას დაემკობოფილებს? ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მე ვარ ავტორობლების ჩემპიონი პარი ჯონსი და არა რაღაც მანქანა.

თავმჯდომარე — თქვენ მანქანა ხართ.

ჯონსი — მაშ ასე ხომ?! მაშ ვიღას დებს ბრალს თქვენი ფირმა? ვის გაუგზავნეთ სასამართლო უწყება? რაღაც მანქანას თუ მე, ჯონსს? ბატონო მოსამართლე, იქნებ აგვიხსნათ ეს გარემოება?

მოსამართლე — კი... უწყება გაგზავნილია პარი ჯონსის სახელზე, ნიუ-იორკი, ორიოცდამეოთხე აგენიუ.

ჯონსი — თქვენ გესმით, ბატონო დონევენი? ბატონო მოსამართლე, ნება მომეცით მოგცეთ კიდევ ერთი შეკითხვა... ითვალისწინებს თუ არა შეერთებული შტატების კანონები სასამართლო პროცესი აღძრას რაღაც მანქანების წინააღმდეგ? შეიძლება, მაგალითად, მათი სასამართლოში გამოძახება, რაშეში ბრალს დადებან?..

მოსამართლე — არა... კანონი ამას არ ითვალისწინებს.

ჯონსი — მაშინ ყველაფერი ნათელია. რახან მე მანქანა ვარ, საქმის გარჩევას ლაპარაკი უნდებოდა. და თუ მე მანქანა არა ვარ, მაშინ რა პრეტენზიები აქვს ჩემს მიმართ ფირმას? მე მისი მონაუნდა გავხდე? განა სურს ბატონ დონევენი, რომ იგი მონათმფლობელი იყოს?

დონევენი — რა თავხედობაა... მაგრამ მაინც ეს ჩვენი ფირმისაა.

მოსამართლე — გთხოვთ დაწყდეთ. დამთავრეთ თქვენი სიტყვა, მისტერ ჯონს?

ჯონსი — არა. ჯერ ერთი მე ხაზი მინდა გავუსვა ამ გარემოებას, რომ ფირმამ უნდა უზრუნველყოს ჩემი შემდგომი არსებობა, რადგანაც მე საარსებო წყარო არ გამაჩნია. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, პანამერიკულ თამაშებზე, მოტოკლუბს მმართველობამ დისკვალიფიკაცია მომცა. მათ განაცხადეს, რომ ჩემს მანქანას მართავს რომელიღაც „უსუსლო ავტომატური მოწყობილობა“. ვინ მოაწყო ყველაფერი ეს? რა თქმა უნდა, ამათ. „სეიბერნეტის კომპანიამ“ მოტოკლუბს გაუგზავნა ჭორებით სავსე წერილი. ესენი მე ლუქმა-პურს მართმევენ. მაშინ მომცენ სახსრები შემდგომი არსებობისათვის და მომამართავთ სათადარიგო ნაწილებით. განა ჩემი ბრალია, რომ ასე ხშირად ვფუჭვლები?

დამცველი — ბატონო მოსამართლე, მე მოპასუხის ძმის მოწმედ გამოძახების წინააღმდეგი ვარ.

მოსამართლე — ნათესაეური კავშირის გამო?

დამცველი — ეგეც არის... მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოპასუხის ძმა წინა კვირას განიცადა ავითოკატასტროფა.

მოსამართლე — აჰა! და არ შეუძლია სასამართლოზე გამოცხადება?

ჯონსის ძმა — შემიძლია მე მოველი.

დამცველი — თუმცა შეუძლია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კატასტროფა მისთვის ტრაგიკულად დამთავრდა და მისი ცოლის დაკვეთით ფირმამ დააწვინა ახალი ძმა.

მოსამართლე — ახალი რა?

დამცველი — ახალი ძმა და ამასთანავე ქვრივის მეუღლე.

მოსამართლე — მაშ ასე!

ჯონსი — რაშია საქმე? რატომ არ შეუძლია ძმას ჩვენების მიცემა? ჩემი ძმის ცოლმა ხომ მთლიანად გადაიხადა ფული?

მოსამართლე — გთხოვთ დამვიდდეთ. იმის გამო, რომ აუცილებელია განიხილოს დამატებითი გარემოებანი — სასამართლომ საქმე გადასდო.

წერილების კვალდაკვალი

ჩვენი გაზეთის მწიგნობარის ნომერში დაბეჭდილი იყო მთავარი ლეხელი წერილები „ჩატუნი“ და „ფუქს მოედანი“ და „გვერდებმა სპორტივენტარი“. წერილებში აღნიშნული იყო, რომ ონელებს ჰქონდათ კეთილმოწყობილი კალათბურთის მოედანი, მაგრამ იქ კარგა ხნის წინათ საძირკველი ჩაუყარათ საფიდაო დარბაზის მშენებლობისათვის, რომლის დამთავრებას დღემდე ბოლო არ უჩანს. რაიონი არ მარაგდება სპორტივენტარით.

როგორც საქართველოს კომპარტიის ონის რაიონიდან გვატყობინებენ, კორესპონდენტებში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიონის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხებზე და ნაყოფანებები გამოსწორებულ იქნება.

ჩვენ გგვჩენ არ დაგვეხარნან

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციას ოდესღაც ჰქონდა ფეხბურთის მოედანი. ახლა მოედანზე აგებულია კოლმეურნეობის გამეგობის ახალი შენობა. გამოჰყვეს მიწის ნაკვეთი სამაგიერო ბაზის ასაგებად, მაგრამ ახალგაზრდებს არავითარი დახმარება არ გაუწიეს მისი მოწყობისათვის. მაშინ სპორტსმენებმა საკუთარი ძალებით მოასწორეს მოედანი, მაგრამ იმის გამო, რომ მისი შემოღობვა ვეღარ მოხერხდა, იგი ახლა სკოლის სათარეშოდ გადაიქცა. ნიგვზიანელი სპორტის მოყვარულები კვლავ ბაზების ვარეშე დარჩნენ.

მ. გოგინაიშვილი რედაქტორი ი. უგულაშვილი



საკავშირო მეჯობრეკე კალათბურთი

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი (კიევი) — ს. მ. კიროვის სახელობის საჭ. კოლმეურნეობის კომისიის ინსტიტუტი (თბილისი) დასაწყისი 19 ს. თამაში შედგება 3 ი. ლენინის სახ. დარბაზში.

ვეგეანები თავდასხმის სათავეში

ცხა „პორტსმუტი“ ანგარიშით 2:1 ამ გუნდის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცენტრფორვარდს მმ წლის ნ. ლოფტპაუზს. ლოფტპაუზმა თავის დროზე ინგლისის ნაკრებში შეცვალა ცნობილი ტლაუტონი. შემდეგში ლოფტპაუზი შეცვალა ტომი ტელიორმა, მაგრამ ამ უკანასკნელის ტრაგიკულად

დაღუპვის შემდეგ ლოფტპაუზმა კვლავ დაიკავა თავისი პოსტი ნაკრებში. მაგრამ ჩემპიონატის ნამდვილ საოცრებას კვლავ ს. მეტიუზი წარმოადგენს. ამას წინათ „ბლექპულმა“ ანგარიშით 4:1 დაამარცხა „არსენალი“ და ამ გამარჯვების ძირითადი ორგანიზატორი იყო

სწორედ მეტიუზი, რომლის წინააღმდეგ „არსენალის“ დაცვა უძლიერი აღმოჩნდა. საერთოდ, ინგლისის პირველი ლიგის თითქმის ყოველ გუნდს ჰყავს „ნიერი“ ლიდერი, რომელიც გუნდის „ტინის“ როლს ასრულებს. ასეთებია ალენი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“), ტელიორი („მანჩესტერ იუნაიტედში“), ფინი („პრესტონში“), რაიტი („ვულვერჰემპტონ უონდერერსში“) და სხვები.